კვირა 19 ოქტ. 1930 წ.

ტარტაროზი

ფასი 10 კაპ.
№ 39 (275)

„ეშველა“ ამგზავრდა: — განუწყვეტელი შრომითა მოვიღალეთ, ძველი წლის ბოლო შორს არის, ნუ გამალვიძებთ მალეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთა ლიგის გზა „ბანიარალებისაკენ“

„გაუგებრობა“

ვასოს ქუჩაში შევხვდი. ფიქრებში გართულიყო და მიმავალმა ვერც კი შემამჩნია.

— გამარჯობა ვასილ დიმიტრის ძე! ხომ არ მემდური? მივაძახე მას.

ის შეჩერდა. უგემურად გამიღიმა, ხელი ჩამომართვა და ბოდიში მოიხადა.

— მაპატიეთ, ველარ შეგამჩნიეთ. ნამდვილად მოვხუცდი. სამდურავი კი თქვენთან რა მაქვს. დახმარება რომ შეგძლებოდათ, ჩემთვის მას არ დაიშურებდით. ნაღვლიანი თვალებით შემომხედა და პაპიროსი მომაწოდა.

მე მივხვდი, რა დახმარების შესახებ ლაპარაკობდა ის. როცა საკონტროლო კომისიაში მისი საქმე ირჩეოდა, მას მოწმედ დავესახელებიე, თითქოს ის მენშევიკების დროს ზოგიერთ კომუნისტებს დახმარებას უწევდა. საკონტროლო კომისიაში დამკითხეს. ვასოს სასარგებლოთ ვერაფერი ვსთქვი. განვაცხადე, რომ ამის შესახებ მისგან მქონდა მხოლოდ გაგონილი.

— ეხ, რა უმადური ხალხი ვყოფილვართ!—დაიწყო მან და მოჰყვა „ისტორიას“ რევოლიუციისა და პარტიის წინაშე მისი დამსახურების შესახებ. სხვათა შორის ისიც კი აღნიშნა, რომ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებას „გმირულად“ შეხვდა ის და სხვებივით ტფილისიდან არ გაქცეულა. და ბოლოს დაათავა უკანასკნელი—მისთვის სამწუხარო ამბით, რაც გამოიხატებოდა მის შესახებ საკონტროლო კომისიის დადგენილებაში.

— გეფიცები ცოლშვილს, დღესაც არ ვიცი რას მაბრალებენ, რაშია ჩემი დანაშაული!—სთქვა მან ნაღვლიანი ხმით.

— კულაკების მოსპობის წინააღმდეგ, როგორც კლასის—განაგრძო მან, მე არ ვყოფილვარ, მაგრამ კულაკებიც არიან და კულაკებიც. ჩემის აზრით, მათ შორისაც მოიპოებიან ჩვენი ელემენტები.

— წითელი კულაკები, ხომ? შევნიშნე მე...

— შენ მეხუმრები და მე კი მართლა ვამბობ... რა ვუყოთ, რომ დღეს ის კულაკია... გუშინ საშუალო გლეხი იყო, შეიძლება ღარიბიც. აი ერთი ფაქტი, რომელიც ჩემს წინააღმდეგ იყო გამოყენებული, ჩვენს სოფელში ვანო შეძლებულაშვილი—ნამდვილი კულაკია. ცხადია, ის კოლექტივში არ ჩაეწერებოდა და კოლექტივის წინააღმდეგიც იქნებოდა. საკვირველი აქ არაფერია. ჩვენ მარქსისტები ვართ და ვიცით „მდგომარეობა ქმნის შეგნებას“.

მერე და იცით, ვინ იყო შეძლებულაშვილი წინათ? ღატაკი გლეხის შვილი, რომელიც ტფილისში თურმე რესტორანებში მუშაობდა „ოფიციანტათ“ და თავის ოფლით შეეძინა ქონება. სოფელში მან შეიყიდა ღარიბ გლეხებისაგან მიწები, დაიდგა ხუთთვალიანი სახლი და ხელი მიყო სოფლის მეურნეობას. მე მას კარგად ვიცნობ. ის ჩვენი კაცი იყო ყოველთვის. ცხრაას ხუთში კრებებს მის ოჯახში ვმართავდით. არა ერთხელ გაუწევია ჩემთვის დახმარება. და ეხლა კი მაბრალებენ მის მფარველობას. არ უარვყოფ. ცოტა დახმარება მართლაც აღმოუჩინე, განა ეს არის დანაშაულობა?

რას ვერჩით იმ კაცს? სხვისთვის ხომ არაფერი წაუართმევია?

განა ამისთვის უნდა გამომრიცხონ პარტიიდან? ვერაფერი გამიგია. ჩემის აზრით აქ გაუგებრობას აქვს ადგილი. ვფიქრობ ამ საქმის შემდეგ ინსტანციაში გადატანას—სთქვა მან და ცივად დამემშვიდობა.

ყუმბარა.

ბრიუნინგი

ნუ თუ არ გეცნობათ თქვენ ეს პრემიერი,
მშვიდობიანობის საშინელი მტერი?
გთხოვთ იცნობდეთ: იგი გახლავთ ბრიუნინგი,
ღორივით რომ ყველგან წაფლული აქვს დინგი.
გერმანელ მუშებზე ამზადებს შეტევას
და თან არც ჩვენ გვაკლებს სიძულვილის ნთხევას.

ფლანდრენი

საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრი ფლანდრენი,
ვინც საბჭოთა კაუშირს შორით უყეფს ღრენით,—
ევროპის ქვეყნებში დადის, დაწანწალებს
და ჩვენს წინაღმდეგ რაზმავს შავბნელ - ძალებს.

უჩინარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელს ოპერის სეზონი გახსნილ იქნა ლენრაიონში—პლეხანოვის სახ. კლუბში.



„მთასთან წავიდა მუჰამედ:—ახალმა ქარმა მოჰბერა:
და ლენრაიონს „პაჩოტიან“ თავს ... „დენდი“—ოპერა!

ბესას თესვა

ბესა ანუ ბესარიონ,
აქტივისტი ადგილკომში,
ყოველს კრებას ისე ხვდება,
თითქოს იყვეს ნამდვილ ომში!

ამას ბრალს სდებს, იმას ჰკილავს
და მესამეს სტუქსავს კიდეც...
ვაი, საწყალ თანამშრომელთ,
მასას, ბესას გადამკიდეს!

მოსვენება ალარ არის,
ნერვები სულ აიწეწა:
— „ოი, ბესას დოიც კი გაჰქრეს“!—
იდუმალი არის ხვეწნა.

მაგრამ ხვეწნას ვინ გაიგებს?
არც ღმერთია და არც ქაჯი,
და ბეჩავ ხალხს, ბესას ხელში
გაწყვეტილი აქვს ილაჯი.

მაგრამ ყოველ ჭირ - ფათერაკს,
მოვლენაა ცხადი რაკი,
სდევს მოქიშპეთ და მმუსრავათ
თვისივე ჭირ - ფათერაკი

ამაზედ სთქვა დიდმა შოთამ,
რომ ჰხამს კაცმაც მოიგონოს.
„ღმერთმა ერთი რად წარსწყმინდოს,
თუ მეორე არ აცხოვნოს?!“

„ცხონებ... და წარწყმენდის“
რაღა გითხართ საქმე, ფუშტი,
იგი ხალხის ოცნებიდან
გაჰქრა, როგორც საპნის ბუშტი!..

მხოლოდ სახე - შენაცვალი
ბრძნული აზრი, შოთას თქმული,
დღესაც რჩება ხალხის გულში
ცეცხლივით თავ - შენახული.

და დრო და დრო და ხანდახან
ის იფეთქებს, როგორც ნაღმი!
ასეთია მოხდენილად
დიდი კაცის მიერ ნათქმი.

და ამ ნათქმმაც თითქოს იხსნა
ბესასგან იგი ხალხი:
ერთფერობას რომ ვერ ითმენს,
მოძრავია ყოფნის ჩარხი.

ეს ჩარხიც, რომ მოტრიალდა,
ასტყდა ქარიც ყოფნის წესის,
დასაწყისს შემოდგომის და
კამპანიაც მოჰყვა თესვის!

მართალია, ბესა შეკრთა
და ეცვალა ფერი ცოტად,
რომ სოფელში წასვლა იმას
არც კი ედო გულს იოტად!

და კრებაზეც მიყვა - მოყვა,
გაქანება მისცა ენას:
შეეცადა წასვლისაგან
თავის თავის გამოძვრენას!..

მაგრამ კრება რის კრებაა,
ხალხის გული რა გულია,
ერთ კაცზე მეტს თუ ვერ მიხვდა,
იმდენათ დაკარგულია?!

და ჰა ბესა — აქტივისტიც,
კენჭის ყრა რომ მოახლოვდა,
მისცა თესვის კამპანიას!
ან-კი უარს ვინ იტყოდა?
თუ რომ ბესა ადილკომში
ომშია და იბრძვის ცხარედ,
სოფლად თესვის ჩატარებას
არ დაუშვებს იგი მდარედ,

და ყოველგვარ დაბრკოლებას
წინ გაიტანს, როგორც ზვირთი!
ღიახ, ჰხამს, რომ აქტივისტმა
თავს იდოს ეგ მძიმე ტვირთი!

ასე ბესაც მისცეს თესვას!
ასე ბესაც მიდის სოფლად,
და იქ თესვის კამპანიას
თავს ადნება ჭირისუფლად:
ალარ სტოვებს არც მთას, არც ბარს
უხნავად და უთესავად!..
მაგრამ მასამც მოისვენა
ადგილკომში უბესაოდ:

არც ნერვების იყო წეწა,
არც თუ საქმე ფერხდებოდა,
და საქმობდა ადგილკომიც,
მასას, რომ არ შერცხვებოდა!..

და თუმც ბესას სოფლად შრომას
ტკბილ-შოთიგი მოჰყვა ძნიად,
ადგილკომში ის ჩატარდა
ერთ თვის „მასის კამპანიად“!..

ბაზირა.

ზამთრისათვის საბ. კავშირში საჭირო იყო 400.000 საღორის დამზადება და ჯერჯერობით დამზადებულია მხოლოდ 36.000 (ერთ-ასი-ოცი!)



ლორები:—მოდი და დაენდე ამის შემდეგ ადამიანების დაპირებას: ამდენს სწერენ გაზეთებში ჩვენს შესახებ და თავშესაფარს კი არ გვაძლევენ.

ცოლი და ქმარი, სხვადასხვა დრონი და რაიონი

ის მუშაობდა „ოლქის მაშტაბით“,
და უპარტიო თავადის ქალი,
თმა - შეკრეჭილი და მოკლე კაბით,
მას მოეწონა, მოედო ალი.
პასუხისმგებელ მუშაკს იმ ქალმა
არ აწყენინა, არ უთხრა „არა“!
თანამედროვე წესით უბრალოთ,
გაჰყვა მეუღლეთ და შეიყვარა.
ცხოვრებდენ ტკბილათ და უდარდელათ.
„ოლქის მაშტაბით“ მუშაკის ცოლი
პატივცემული იყო ყველასგან,
ირგვლივ მას ბევრი არ ჰყავდა ტოლი.
ქმარს უხაროდა, როცა თეატრში
ლამაზ მეუღლეს ის უჯდა გვერდით,
მუდამ მორთულსა ახალ მოდაზე,
ხან აბრეშუმით, ხან კი ხავერდით.
თუმც — „უპარტიო დედაკაცია“
მაგრამ თქვენ იმას ნუ ეხუმრებით;
იმისი მყუდრო და უხვი ბინა
მუდამ სავსეა რჩეულ სტუმრებით.
პასუხისმგებელ მუშაკს იქ ხშირად
პასუხმგებელი სხვა შეხვდებოდა,
გაერთობოდა მასლაათით და
გაწყობილ სუფრას მოუსხდებოდა.
მკითხველი ალბათ ამბობს: — „ძალიან
გაჭიანურდა ეგ თქვენი ოდა“!
თქვენ გაგეცინოთ იქნებ მაგრამა,
ოდა კი არა ეს არის დრამა.
მოგეხსენებათ ეხლა ოლქები
რომ გააუქმეს ჩვენში ყველგანა
და — „რაიონში თუ აგზავნიან
ასეთ ქმარს ქალი გაჰყვება განა?“
ფუ, რა მცოდნია მე რაიონის,
ოლქის მაშტაბით ტყვილა შემპირდა?..
„აქ თავს მოვიკლავ უმჯობესია,
„იმ მიყრუებულ ხვრელში რა მინდა“?..
„ოლქის მაშტაბით“ მუშაკმა გულშ
ჩაიკლა სევდა, ბრაზი და ჟინი;
ის მედგრად შეხვდა შეურაცყოფას
რომ ჩამოაკლეს უეცრად „ჩინი“.
სადილათ სახლში დაბრუნებულმა
სთქვა, როს კახური გადაჰკრა ერთი:
— „მე რაიონში მაინც არ წავალ,
თუნდ ჩამომართვან ეს პარტბილეთი!“

— : —

„ოლქის მაშტაბით მუშაკი“ ვაჟი
და უპარტიო იმისი ცოლი,
მე მეცოდება ჩემო მკითხველო,
რადგან კაცი ვარ გრძნობის ამყოლი.
ეხლა ის დარჩა სულ „უმაშტაბო“
დაეხეტება ვით ვიგინდარა,
ის უპარტიო ლამაზი ქალიც
მას წაეჩხუბა და გაეყარა.
სასტიკი არის ხუთწლედის ხელი,
ურჩთათვის არის ის მეტად მწვავი
და, როგორ გნებავთ, რომ მემარჯვენე
გადახრამ აქ არ ამოყოს თავი?!

უპარტიო ს. ოქტიაბრიევი.

მ ა ღ ა რ ო ს თ ა ნ

ზოგიერთი პროლეტარული პოეტი არ იცნობს შესაფერად ფარმოებას
და მუშათა ყოფა-ცხოვრებას.

პროლეტკულტელი:—აუ, ვილუპები! მაღაროში მივდივარ!..., მი-შვე-ლეეეეეეეე-ო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მეოთხე

თავი მეთუთხმეტე

ალთქმულ ქვეყნისკენ მგზავრობაზე,
მენშევიკების ყალთაბანდობაზე,
ციურ მანანაზე
და კიდავ მრავალ სხვაზე.

გახარებულები წინ გაემართენ
წითელი დროშა მაღლა ამართენ.
მიიმღეროდენ მწყობრათ სიმღერას:
—ზურგი ვაქციოთ ჩვენ ძველ ქვეყანას!
მაგრამ ყოველი ვერ იყო რიგზე.
არ აკლდებოდა გზას თითქოს სიგრძე.
დღე დასცხუნებდათ მათ მზე მხურვალე.
ძლივს მიდიოდენ მშიერ-მწყურვალე.
ღამით სტანჯავდათ მკაცრი სიცივე.
მხოლოდ სელიმში ნახეს წყალი ცივი.
სადაც სამოცდა ათი ხის ძირში
დალაგდენ ჩრდილში.
აქ შესვენებით თავს კარგათ გრძნობდენ
მენშევიკები კვლავ განაგრძობდენ
ხალხის აშფოთებას და მითქმა-მოთქმას,—
თუმცა ხმამაღლა ვერ ბედავდენ თქმას
რაც ეწადათ გულით.
—ვერაფერს იშოვი საყიდელათ ფულით!—
ჩასჩურჩულებდენ ერთმანეთს ყურში.
—რამდენი მიეცი დღეს გირვანქა პურში?
—ნავთი და საპონი არსად იშოვება!
—ასე თუ გაგრძელდა,—რაღა გვეშველება!
—ყველაფერი გვქონდა ჩვენ იქ, ეგვიპტეში,—
რატომ წამოვედით ამ უდაბნო ტყეში?
—როგორ მენატრება ერთი ცხელი კერძი!
—სჯობს რომ მოვაბრუნოთ ეგვიპტისკენ ღერძი!..

**
*

ყველა მოძრაობის თითქო ბედია:
უენო კაციც მაშინ ყბედია!
უთანხმოება რომ ჩამოვარდება,
ადვილი საქმეც ძნელათ მოგვარდება!
ეხლაც შეიქნა ერთი ყაყანი:
—პური, ხორცი, ფართალი!—
დანაპირები სად არი?
—ნუ გვატყუილებთ, გვითხარით მართალი!..
ვამოვიდა თვით მოსე აარონის დასახმარებლათ
და აჯანყებული ხალხის დასაწყნარებლათ:
—მოითმინეთ, ბიჭებო, დამშვიდდით!
შემთანხმებლების რიგებში რათ შედით?
ყოველი გვექნება,—ამის პირობას მე თქვენ დაგიდებთ,
მაგრამ ეხლავე პირში ვერ ჩაგიდებთ
ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს!
ნაადრევათ ნუ ჩამოყრით ყურებს!
თქვენ გსურთ უკან ეგვიპტეში დაბრუნება'
ჰმ!.. კაცია და გუნება!
იქ ზურგზე მათრახი ნუ თუ დაგავიწყდათ?
მისი განახლება ხელახლა მოგინდათ?
მონობის სურათი მე წინ მიდგას ნათლად,—
ნუ თუ ეს მონობა კიდევ მოგენატრათ?
ვინ გაათახსირა თქვენი ბუნება?
დავიჯერო,— ამ ქალაჩუნებმა!
ცოტაოდენი მე მაგათ დამაცადონ,
მერე კი ასეთი რამე აბა სცადონ!
ნახონ, თუ როგორ დავაყრი ხეირს,—
გაყურებიებთ მე მაგათ სეირს!
თუმცა მოსეს არ უვარგოდა ლაპარიაკი,
მარა თვით გამოვიდა ხალხთან რაკი,
ყაყანი ნელნელა დაწყნარდა
და ჩქარა მშვიდობიანობა დამყარდა.
ამ გარემოებას ხელი შეუწყო კიდევ იმანაც,
რომ ციდან ჩამოცვენილი მანანაც
იყო გემრიელი,
როგორც ჭყინტი ყველი!
თუმცა მოსეს არ უვარგოდა ლაპარაკი,
რომ არავის არა აქვს ნება
მინანის
დამალვის,
მაგრამ ვინც მიჩვეულია ჩარჩობას,
ის ამჯობინებს დაღრჩობას,
ვიდრე მას გადაეჩვეოდეს!
რომ სპეკულიაციას არ ეწეოდეს!..
ისე ხომ მის ცხოვრებას აზრი არა აქვს,
თუ გასაყიდათ რამე არ გააქვს!
სწორეთ ამიტომ ხდებოდა,
რომ მანანას,—თუმცა ის ჩქარა ხდებოდა,—
ინახავდენ ფარულათ ჩარჩები,
ანუ მენშევიკური წვრილფეხა ვაჭრები.
მათი ბრალია, რომ კიდევ დღემდე,
ბევრ მოქალაქეს ეს ზნე დასჩემდა!..

**
*

საქმე თანდათან უფრო რთულდებოდა.
ხალხს გზაში წყალი მუდამ სწყურდებოდა.
შეიქნებოდა ალიაქოთი.
ჩხუბი და შფოთი.
—მოსეს სურს, ალბათ, უდაბნოში რომ ამოგვხოცოს,—
ჩვენი ქონება, უპატრონო, მან წააცოცოს!
—დავბრუნდეთ უკან, ჩქარა დავბრუნდეთ,-
ცოცხლათ დარჩენა ვისაც კი გინდათ!
• გეგონებოდათ ბოლო ამ ჩხუბის,
შეიქნებოდა ფრიალი ქვების!
მაგრამ როგორღაც საქმე მოგვარდა,—
ხალხში სიმშვიდე კვლავ ჩამოვარდა.

**
*

ცოტაოდენი ხანი რომ გავიდა,
საქმე ხელახლა უკულმა წავიდა:
ღამით ბანაკათ რაფიდინს დადგენ,-
დილით ადრიან ზე წამოლაგდენ:
ამელეკი მათ თავზე დაესხა,
ძნელი შეიქნა მისგან თავის ხსნა.
როდესაც მოსემ ეს დაინახა,—
უფალს შესძახა:

„ბულბულები“

როგორ ხვდებიან შემხვედრ გეგმას რელიგიის „ბულბულები“.

—რომ გადაძკიდე ამ ხათაბალას,
ნუ თუ არ ფიქრობ ახლა ჩემს შველას?
ჯარების სარდლათ ვინ ავირჩიო,—
ეს მაინც მირჩიე!
  რა უპასუხა უფალმა მოსეს
არ ვიცით. მხოლოთ სარდლობა იესოს,
ნავინს, მიანდო.
ვაჟკაცი იყო ის მართლაც სანდო:
მხარ განიერი, წელში მაგარი.
მან შეაგროვა... წითელი ჯარი!..
  მოსე აარონს ასე ეუბნება:
  —ფეხზე დააყენე შენ ყველა უბნები!
ჯამოიტანე რეზოლიუცია!
რომ საფრთხეშია რევოლიუცია!
„სიკვდილი, მარა არ დანებება!“—
ეს უნდა იყოს მთელი ხალხის ნება!
  მენშევიკები დაფრთხენ
და საღაცა გაჰქრენ,
სოროებში შესაძრომელათ.
ვაჟკაცები კი დაირაზმენ შესაბრძოლებლაი..
  რა დღე დააყენეს ამალეკს!—
ჰგავდა ნიაღვრის წანალეკს!..

ს. თ—ია.

(გაგრძელება იქნება)

პედაგოგიური ინსტიტუტი

ტარტაროზ, ჭირიმე, გვისმინე ვედრება!—
ინსტიტუტს ეწვიე, მობრძანდი მო,
ამბავი მართალი, რომელიც აქ ხდება,
რატომ შენც არ გინდა, რომ შეიტყო.
  ცხრაასი კაციდან სამასს აქვს ჯერ ბინა,
არც ამათ ადგია საშველი მით,
ჯოგივით ას-ასი შერეკეს ოთახში;
როგორი წესია, — თქვენ თითონ სთქვით,
არ ვარგა ცხრილი და სჭირია გარდაქმნა',
სამხედრო ნუსხების თანახმად მას;
დეკადა შესრულდა, ლექცია არა გვაქვს,—
არავინ არ იღებს ჯერ კიდევ ხმას.—
და სტიპენდიებზე ხომ სიტყვაც არ თქმულა,
ბევრს სტუდენტს უნდა, რომ დაბრუნდეს შინ.
როდემდის გრძელდება ეს გარემოება
ნეტავი ვიცოდე, ვინ გვიხსნის, ვინ!..
დარბაზში ფუსფუსი და არევ-დარევა...—
იცოდეთ მაინც კი, — ვაკეთებთ რას?
— ლექციის ლოდინში ვაღამებთ მთელი დღე,
მივდიეართ, მოვდიეართ, — არაფერს სხვას.

ნამგალა.

ჩემი ჯილდო საღ არის?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც მეტის მეტად გავრცელდა ეს დამკვრელობა. პირველად დამკვრელის დანახვაზე ერთი ფუსფუსი ატყდებოდა: „დამკვრელი მოვიდა შეხედეთ"!—გაიძახოდენ აქეთ-იქით.

შემდგომში დამკვრელობა სწრაფად მოედო ჩვენს წარმოებას. დამკვრელები სოკოსავით ჩნდებოდენ.

შევრცხვი კაცი, ყველა ჩემზე უკეთესი ბიჭი აღმოჩნდა.

ხალხში გასვლა მრცხვენოდა.

ბოლოს გადავწყვიტე და თავი დამკვრელად გამოვაცხადე.

— შეხედეთ, დამკვრელი მოდის!—

— დაინახე? დამკვრელმა ჩაიარა.

— დღეს ჩვენი დამკვრელი ადრე წავიდა სამუშაოთ!

— ასე ლაპარაკობდენ ჩემზე.

გავსივდი კაცი, გავამაყდი, ცა ქუდათ აღარ მყოფნიდა, დედამიწას ქალამნად არ ვკადრულობდი.

— აბა მიიწით, ჯერ მე უნდა ავიღო,—გავიძახოდი დილით, პურის რიგში.

— მე წყლის ფულს არ ვიხდი, დამკვრელი გახლავართ,—მამაცად უპასუხე ჩვენი სახლის წყლის კომისიას, ხოლო სახლის კომენდანტი, რომელიც ბინის ქირისათვის მოვიდა პანღურით გავაგდე:

— ვის უბედავ შენ ბინის ქირის მოთხოვნას, დამკვრელ კაცს?

— სამუშაოზე სიარული მოგვიანებით დავიწყე: რას გამიბედავენ, დამკვრელი არ ვარ?

კავშირის საწევრო ანარიცხები არ გადავიხადე, რაღა საწევრო უნდა დამკვრელ კაცს!...

ქარხკომი ბუზად არ მიჩანდა, ხოლო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გამარჯვებასაც არ ვეუბნებოდი, როგორც დამკვრელი.

მოვიდა დამკვრელის საკავშირო დღე. დანიშნეს მიტინგი, სადაც უნდა მომხდარიყო საუკეთესო დამკვრელების დაჯილდოება.

მოვემზადე ჯილდოს მისაღებათ და ეს ამბავი ცოლსაც გაუზიარე.

— მერე და რას მოგცემენ ჯილდოთ?—აღეძრა ქალს ცნობისმოყვარეობა.

— არ ვიცი, ალბათ პალტოს, ფეხსაცმელს, ან სხვა ნივთს.

— პალტოს ნუ წამოიღებ, საპალტოე მატერია გამოართვი, მე უნდა შევიკერო. ფეხსაცმელის ორდერიც აიღე, მე უნდა ვიყიდო ჩემთვის!

— ქალო, ხომ არ გაგიჟდი, კაცი გადავუევი დამკვრელობას და ყველაფერი შენთვის წამოვიღო?

— რომ გეუბნები ისე მოიქეცი, მაშ შენ გინდა დამკვრელის ცოლი შარშანდელი პალტოთი დადიოდეს? გრცხვენოდეს!..

რას გავაწყობდი...

საღამოს, მიტინგზე რომ მივდიოდი ჯილდოს მისაღებათ, ცოლმა გამატანა ასაღებ ჯილდოების სია:

1. საპალტოე კოვერკოტი.
2. ქალის ფეხსაცმელის ორდერი.
3. სამოვარი და კეროსინკა.
4. ბუა, კოტიკი, ან უკიდურეს შემთხვევაში პალტიკი.
5. სხვა წვრილმანი საქონელი.

— აი, ეს ყველაფერი უნდა მიიღო ჯილდოთ, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!—დამემუქრა ცოლი და გამისტუმრა.

მივედი მიტინგზე და ჯილდოს სია წინასწარ გადავეცი ქარხკომს:

— ვიცი უსათუოდ დამაჯილდოვებთ და თუ ძმახარ ჯილდოთ ეს ნივთები ამოარჩიე!

ქარხკომმა ულვაშებში ჩაიცინა და მიბრუნდა. მიტინგი გაიხსნა. ილაპარაკეს. გამოაცხადეს საუკეთესო დამკვრელები, წითელ დაფაზე გააკრეს და ჯილდოებიც დაურიგეს.

...—ამასთანავე, ამხანაგებო, ჩვენ გვყავს შავი დაფის კანდიდატებიც, რომელთაც არა თუ არ გაამართლეს დამკვრელობა, ჩირქი მოსცხეს ამ სახელს...

თმა ყალყზე დამიდგა.

— ასეთია, მაგალითად ხარჩო-ყლაპიაშვილი ტიმოთე, —განაგრძო თავჯდომარემ და ჩემზე მიუთითა,—იგი არის ცრუ - დამკვრელი, შრომის დეზერტირი და თავკერძაც. აი, მის მიერ შემოტანილი სია, რომელიც ცოლს გამოუტანებია სახლიდან...

აღარ მახსოვს, დავდნი, ჰაერში გავითქვიფე თუ ჩვეულებრივი წესით გამოვიპარე. მახსოვს მხოლოდ, რომ ქუჩაში გამოსულს დარბაზიდან მომესმა:

— აი, ამხანაგებო, ხარჩო-ყლაპიაშვილი უკვე გაიპარა, იგი შავი დაფის ღირსია და წარმოებიდანაც უნდა იქნას გაძევებული!..

ყრუთ მახსოვს, რომ დარბაზში ტაშმა იგრიალა...

— რა ქენი, ჯილდოები მოიტანე?—შემეკითხა ცოლი.

— არა... თავიანთი კაცის ხელით გზავნიან; მე ვეღარ გამიბედეს გამოტანება, მწარეთ ჩავიცინე მე და... მეორე დღეს ცოლიც გამექცა...

ალლარ-ალლარსან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული იუმორი

მოაგონდა

(ბიუროკრატის მონოლოგი)

დამავიწყდა!.. აშკარად დამავიწყდა!.. ბლოკნოტში მქონდა დაწერილი, რაც დღეს უნდა გამეკეთებია...

მოიცა... მოიცა... ჰო.. პირველ გვერდზე მეწერა— ბლოკნოტის თავში..

მოვიჯაჯე კაცი... დავილუპე... ველარ ვიგონებ!.. არეული მაქვს სახლში ქაღალდები... მისი ბრალია...

ხო მაგონდება.., სერიოზული საქმე იყო, დღეს უნდა გამეკეთებია.

რომ ვერ ვიგონებ?.. ჰო... კი.., ფანქრით დავინიშნე: საჩქაროა, აუცილებლად უნდა შესრულდეს... მაინც ვერ ვიგონებ... წავალ შინ!.. არ შემიძლია დღეს მუშაობა!

მუშაობა... დამუშავება!.. უუუ!.. მომაგონდა!.. მომაგონდა... პარტიის ცეკას მომართვის საამქროებში დამუშავება... ვაშა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროი, ნახე!

„ნუგეში“

სამატარებლო გუნდები სოცშეჯიბრებას აწარმოებდენ, მაგრამ მათი მიღწევების აღრიცხვა შეუძლებელია, რადგან სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები ადგილკომს დაეკარგა. (გაზეთებიდან).

სამატარებლო გუნდების
ადგილკომელი სულიკო,
ხელშეკრულებას ეძებდა,
ვერ ნახა, დაკარგულიყო.

—:—

დიდხანს ეძიერიკა „საქმეში“
ვერ ნახა, თავი დახარა,
ამ დროს გამოცლილ კვარტიდან
ხმამ უცნაურმა ახარა:

—:—

ხელშეკრულება ცულლუტი
ბოთლებში მიმალულიყო.
სთქვა: — ნულარ მეძებ, დამშვიდდი,
აქა ვარ შენი სულიკო.

როდის წავა



— როდის წავა ეს მატარებელი?
— როცა ბრიგადა გამოიძინებს, გაიღვიძებს, პირს დაიბანს და „ნაპაზმელიარ“ გულზე „თიო-თიოს“ დაყოლებს, იმ წუთშივე ზარს დაკრავენ და მატარებელიც იუნკერსის ჰაეროპლანივით გაფრინდება.

როგორ გაიგეს

ზოგიერთებმა



პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება



რიცხვობრივად გაზრდა



თვითთლირებულების შემცირება.

სამგლოვიარო

განცხადება

სამუდამოთ გულმოკლული და იმედ გაცრუებული ჯანსახკომის აფთიაქის თანამშრომლები: დავით კაჭკაჭიშვილი, ბიძინა გელოვანი, ოქრო ფოცხოევი, აპოლონ ცინცაძე, ც. უზნაძე და სხვანი ძმანი მათნი, განუსაზღვრელ მწუხარებას გამოსთქვამენ რომ სრულიად მოულოდნელად უგზო-უკვლოდ დაიკარგა ჩვენი ძმა-ბიჭის, ჩვენი ადგილკომის თავმჯდომარის — ტიგრანის

პორტფელი

„დამკვრელები“

21 სექტემბერს ჰიათურის მაღაროს მუშებმა — ალექსანდრე ტაბატაძემ და მიხეილ მასხარაშვილმა ჭიდაობა გამართეს მუშაობის დროს და ამაში ორი საათი გაატარეს. („მუშა“).



მიხა ლექსოს „დაეძგერა“,
ლექსო კიდევ მიხას,
წარმოება „წარმატებით“
ორივეს „წინ“ მიჰყავს.

არ ჩამთვალოთ

გაუქმებულათ!

თფილისში მოგზაურობის დროს დავკარგე ქვემოთ ჩამოთვლილი მოწმობები, რომლის წარდგენა აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა მუშფაკზე მისაღებად:

1 პარტ. კომ. შვამდგომლობა მუშფაკზე 1320 №
2 კომკ. — — — — — 869 „
3 მიწა-ტყის კავშ. — — — 579 „
4 კოლექტივის მოწმობა — 343 „
5 კომკ. — — — — — — 874 „
6 კავშ. მოწმობა — — — 565 „
7 ჯანმრთელობის — — 124 „
8 მეტრიკა — — — — 393 „
9 [illegible]ნთლების (7-წლედი) 113 „
10 სიღ[illegible]ების — — — — 1518 „
11 სას. სამ. ვადასახადს რომ არ ვიხდი — — 1577 „

ვიძლევი პატიოსან სიტყვას, რომ ამ მოწმობებს [illegible] ერთი იმდენს და მოკლე ხანში წარვადგენ „სადაც ჯერ არს“, მადროვე ტარტაროზო! არ ჩამთვალო გაუქმებულად!

ჭი—ჭი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორულ-ერგეტა—დ. ჭუკნია.

— რატომ არ უწერ ეჭიმო ჩემს ქმარს წამალს?

— რათ უნდა წამალი. გზის ბეგარის გატარების კამპანია მოთავდება თუ არა, შენ ქმარიც მორჩება.

ქვიანი—ამ. მშვიდობაძე.

— სადა ხარ დედაკაცო, ამ შუაღამემდის.

— რა შენი საქმეა! მანდ დაეგდე თორემ ცხვირს ამოგამტვრევ!

ქუთაისი—ვ. ხოფერია.

— როგორ ყიდი თითო კალათს?

— ჯერ მითხარი რამდენი გაქვს ჯამაგირი და ფასს მერე დაგიდებ!

მარანი—ვ. ნინუა.

— რას უწუნებ შე კაცო ლიპაძეს, რატომ არ აძლევ ქალს, შეძლებული კაცია და მდიდარი!

— რას ამბობ! იმისთანა კაცს ქალს რავა მივცემ, რომელსაც სილარიბეს შოწმობა არა აქვს!

ი. კახიანი.

— რატომაა რომ ჩვენი კოოპერატივი არასოდეს არაა თავის დროზე ღია?

— იმიტომ, რომ გამგე და ნოქრები საქონელს თავისიანებისათვის ანაწილებენ ჩუმად!

ხრუსილი—ა. ჯაში.

— არ გვინდა ბილეთი, აგერ შევეკვრეთ ამ ვაგონზე, კონდუქტორი ტყიბულამდე მაინც არ გაიღვიძებს!

სილნაღი—ლ. ასტვაცატუროვი.

— რაშია საქმე, ჩვენი გამგე უპორთფელოთ რომ დადის?

— იმიტომ, რომ ფეხსაცმელისათვის რიგში ჩადგომა არ იკადრა და ისევ პორთფელიდან შეიკერა ფეხსაცმელი!

ბათომი—ლ. ჭუბაბრია.

— ჰეი! რას დაეძებ ამ ჩემს ოთახში?

— სულ ერთია, რაც იქნება, რასაც ვნახავ იმას წავიღებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედრება

ტყავტრესტის ჯარხნის მუშები, სასადილოში მიღებულ კერძში პოულობენ ხოჭოებს და ზოგჯერ ჭიებს.

ხოჭო (მუშას): ნუ მიღუპავ ჩემს ცოშვილს: ნუ მჭამ ასე უდანაშაულოთ მეგობარო!...

სად დადნა?

ოზურგეთის ყოფ. მაზ'აში საბჭოთა მეურნეობის მუშებისთვის გაგზავნეს შაქარი, რომელიც განზე განაწილდა. მუშებს არაფერი მიუღიათ.



შაქარი: სად უნდა წავსხდეყავ და სად ვდნები?! საბჭოთა მეურნეობების მუშებო, აფსუს, ჩაის აშენებთ და თქვენს საჩაიე შაქარს ნათლიმამები ინაწილებენ...

განუსვენეს

ქუთაისის მუშკოოპის ფირმამ შეაძინა 85 გერმანული ჯიშის ძროხა, რომელთაგან 30 უკვე დაიხოცა მოუვლელობით.

უდროოთ დაობლებულნი ქუთაისის მუშკოოპის სარძეო ფერმის მესვეურნი აუწყებენ დაინტერესებულ პირებს, რომ მათი დაუდეგრობით და უყაირათობით დაიღუპა

30 ჯიშიანი ძროხა

ისინ�ეგ გამოსთქვამენ იმედს, რომ ვათ აკმარებენ ამ მწუხარებას და აღარ მოაწყობენ მათ საჯარო საჩვენებელ გასამართლებას, ვინაიდან ეს იმოქმედებს ფერმის მეგობრეობაზე და ხელს შეუშლის დანარჩენი 45 ძროხის დამშვიდებით გამგზავრებას საქონში.

გაბაასება

ტყიბულში გაიხსნა თიხსაცმელების სახელოსნო, სადაც პირველ რიგში და უმთავრესად პ.-მგ. მუშაკებს უკერავენ ფეხსაცმელებს.

—პ.-მგ. მუშაკის ფეხსასცმელი:—რა გნებავს ამ სახელოსნოში რომ შემოსულხარ?

— **მუშის ფეხსაცმელი:**—რაღაც ლანჩების დაკერება უნდოდა ჩემს პატრონს ჩემთვის და იმიტომ გავბედე...

— **პ.-მგ. მუშ. ფეხსაცმელი:**—გასწი, გასწი თუ კაცი ხარ, ჯერ ჩვენი პ.-მგ. ხალხის ჯერია, მერე მათი ცოლების, მერე მათი ნაცნობებ-მეგობრების... გაიარე სუფთა ჰაერზე და გაისათ შემოიარე!..

თუ ძმა ხარ!

დეპოელი ნიკ. ზაზაძე სპეკულიაციას ეწეოდა ხილით და სანოვაგით.

მე ვარ დეპოს მუშა ნიკოლოზ ზაზაძე. მართლა მუშა არ გეგონოთ, არსებითად სპეკულიანტი ვარ, თუ სპეკულიაციას დავარქმევთ კახეთიდან და განჯიდან ყურძნის, ხილის და სანოვაგის ჩამოტანას და სამმაგ ფასებში გაყიდვას. ბოლოს და ბოლოს, რა დააკლდება ინდუსტრიალიზაციას მით, რომ მე ფეხზე ვიდგეჩრო და ცოტა მოვიგო? თუ კოოპერაცია ვაჭრობს, მე კოოპერატივის წევრი არ ვარ თუ? თუ ძმა ხარ ნუ იკით წამოძახება: ზაზაძე სპეკულიანტიაო, მით უმეტეს, რომ დეპოს მუშებში მე დამკვრელათ ვწერივარ!

გადაგჭრით, გაგანახევრებთ!..

ხონის რაიონმა (ინტრიდან გაგზავნილი საკონტროლო ციფრები შემოდ გომის თესვის შესახებ ნახევრად შეამცირა.

ალბად ხონის მუშაკები ასე მსჯელობენ:
თქვენ, საკონტროლო ციფრებო,
ხონსა ვინ მოგიყვანაო,
თესვის შემხვედრი გეგმები
უბეში გვიძევს განაო?!
გადაგჭრით, გაგანახევრებთ
ბიჭნი ვართ ამისთანაო,
ამ ფეხებს—გაზაფხულისთვის
თუ არ იჭნება ყანაო!

რას აკეთებს?

— **რას აკეთებს** თქვენი ქმარი?

— **არაფერსაც** არ აკეთებს! მსახურობს მუშკოპში და შეეჭცევა დეფიციტიან საქონელს.

კითხვა-პასუხი

შეკითხვა ტარტაროზს

გორის საბჭოთა მეურნეობაში სამეურნეო მანქანა - იარაღები ყრია უპატრონოთ. გთხოვთ განგვიმარტოთ რა არის ამის მიზეზი ან რით შეიძლება ამ საქმის გამოსწორება?

მნახველი.

ტარტაროზის პასუხი. როგორც სჩანს გორის საბჭ. მეურნეობის ადმინისტრაციას თავი მოსძულებია (ანკი სად აქვს თავი) თორემ რაღა ცის ქვეშ დაყარა მანქანები. იქნებ მაგას გონია, რომ მასავით ძილი უყვარს მანქანებს და ისიც ამ შემოდგომის თესვაზე. ჩვენი რჩევაა, გორის საბჭოთა ადმინისტრაციას შევუშაპუნოთ მუშგლეხინუმი. საჭიროა მისი ტვინის აპერაცია, ვინ იცის იქნებ ნაღრძობი აქვს. თუ ამანაც არ უშველოს, მაშინ გადმოგვიგზავნეთ ის ჩვენ დასასილოსებლად.

ᲐᲠᲖᲐ ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲡ

ორი დღის წინად ჩვენს რედაქციაში შემოფრინდა აქ დახატული ტრაქტორის „უმანკო სული“ და მოგვმართა შემდეგი განცხადებით:



ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲝ!

რამდენიმე თვეა ვგ. ვარ ტფილისში კომუნარების ბაღში, წვიმამ, უანგმა და უპატრონობამ გულის სიგანიერე გამიჩინა. გამვლელ - გამომვლელი დამციინის და მიწოდ[illegible] ოპორტუნისტს. ასეთ [illegible]ხარებულ სოცმშენებლობის დროს უპატრონოდ ავრჩი და ჩამოვრჩი ტემპებს.

ჩემგან ვინ იცის რამდენი გუთანი და სახნისი გამოვა და გლეხს აუ-ყვავებს ყანას. მე, მართალია, წინეთ მუზეუმს ვეკუთნოდი, მაგრამ გარედ გამომაგდეს! გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მე გადახრის არაფერი მაცხია, მაგრამ ეს ალბად იმიტომ მოხდა, რომ ჩემი ადგილი ჩემმა პატრონმა დაიჭირა მუზეუმში.

ამხ. ტარტაროზ, თუ მიშველი, ისევ შენ! გახდი ჩემი ჭირისუფალი, თორემ თვითმკვლელობამდე მივალ და მაშინ სირცხვილის ჭამა ჩემი ბრალი არ იყოს. რა იქნება, რომ ჩემზეც გაავრცელონ დანაკარგებთან ბრძოლის ლოზუნგი?

პატივისცემით არა პატივნაცემი ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ.

„ᲮᲔᲚᲘ ᲥᲝᲩᲝᲠᲡ“

(ჭიათურა, ხრეითი)

ტარტაროზ ნუ გამიწყრები.
თუ შეგაწუხო ხშირადა,
ისევ ხრეითში ჩამოდი —
ჩანგალით — მტრების ჭირადა.
მდივანი, ბებია - ქალი,
ოთხწლედის მასწავლებელი.
გადაეკიდენ ერთმანეთს
ჩხუბი აქვთ განუწყვეტელი.
რა დაემართათ? — იკითხავთ—
რად მოსდით
აყალ - მაყალი?
მოვყვები. შენ კი იმას გთხოვ
მაგრად ამოსდო ჩანგალი.
ანიკომ „გაიმასქნა“
ლიკ - სკოლის „ჰაწა“ ფულია,
თინამ ამხილა. — ანიკოს
ამაზედ მოსდის გულია.
სერგოს ცოლი — ბებია - ქალს
გა[illegible]ექცა „კონკურენტად“.
ქალებს არჩენს - უნებართვოთ —
სწავლა მიაჩნია მეტათ.
ყოველ დღე ალიაქოთი
არის თემ - საბჭოს ბინაზე:
არც ერთი არას აკეთებს
ერთი - მეორეს ჯინაზე.

კბენია.

ᲯᲝᲠᲖᲔ

(ბორჯომი)

ხაჩიძე გვყავს აქ ქარხკომათ
ზარმაცია ძმაო, დიდი,
შენს ჩანგალზე ტარტაროზო,
გახლავთ სწორედ ასაკიდი.—
კომისიებს არ დაეძებს,
ინსტრუქციებს აჭმევს თაგვსა,
დარაჯობა ურჩევნია,
მიტომ ზიდავს ხშირად წყალსა
მას რათ უნდა სოცშეჯიბრი,
(შეეჯიბრეთ თუ გინდ ძილში)
სამკითხველოს წიგნები მან
„ჩაამწყვრა“ ძმაო სკივრში.
ქარხნის დაზგებს შეჯიბრი აქვთ
მტვრევაში და სიძველეში,
ყურადღებას არვინ გვაქცევს,
თუმც „ვაფრინეთ“ კაცი ტრესტში.
ორთქლის ქვაბი გაგვეფიცა,
ვეღარ სძლია ამდენ დაზგებს,
„ტრანსმესია“ ჭრიალებს და
გეგონებათ სცლიან ვაზნებს.
ნედლ მასალას არ გვაწვდიან,
ტარტ[illegible]ოზო, თავის დროზე,
და უმართლებლოთ გვაჯენენ
ხან ურემზე, ხან კი ჯორზე.

ᲢᲐᲠᲙᲝᲠᲘ.

ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ

(ხრეითი — ჭიათურა)

ამჟამად სოფლის მდივანი,
აზნაურია ყოფილი.
შეძლებულ გლეხად ითვლება
ჩოხაში გამოწკეპილი.
გლეხებზე ისე ნადირობს
ვით მტრედზე შავარდენია;
ბევრს აწყალობინა უბედურს,
თავის გაჩენის დღენია...
და... ეხლაც გადინადირა,
ხანჯალს გაივლო ხელია!
ირაკლის დასცა თავზარი,
საქმე ქნა საკვირველია.
მის სიმინდიან ყანაში
ნამგალი დაატრიალა,
ოთხმოცი ძირი სიმინდი
ჩასჩეხა გაატიალა.
შიშმა შეიპყრო სოფელი,
გული გაგვიხდა მტკივანი,
წამოგვეშვილე ტარტაროზ
უნდა აიბარგოთ მდივანი.

კი-კო.

სამკითხველოს გოდება

ᲑᲣᲥᲡᲘᲔᲗᲘ (ოზურგ. მაზრა)

ასჯერ იყო ჩემზე კრება,
გადმახადეს პარაკლისი,
და მოწყობა არ მაღირსეს,
დასაცინი დავრჩი სხვისი.
ტიტიკომ და ზაქარიამ
(გაუქვავდეს იმ ორს ენა)-
არ იზრუნა ჩემზე სრულად
და საფლავში ჩამასვენა.
ჩამომშორდა მათთან ერთად
მოქია და გარსევანი,
მიმატოვეს, დამაობლეს,
და სულყველამ მიქნა განი!

ᲤᲔᲠ-ᲣᲛᲐᲠᲣᲚᲘ.

ᲜᲘᲒᲒᲖᲘᲐᲜᲘ

ელისემ მომკლა, ელისემ,
რომელიც ფარდულს განაგებს,
მუშებს ხელფასი წაართვა,
ნეტავი პასუხს სად აგებს?
ვანოს ესტუმრა ბნელ-ღამით
ერთი ვაუკაცის ხლებითა,
კარები ვეღარ შეტეხეს
და არც გაუღეს ნებითა.
ფანჯარას ძელი აადვეს
და შიგ ჩავიდინ მტვრევითა,
ქალს ცემით სისხლი ადინეს,
ყველას ვერ ვიტყვი ენითა.
სამკითხველოში ვლადიმერ
არ იარება ხშირადა,
ვხედავ სადგურზე არშიყობს,
საქმეს არ აგდებს ჩირადა.

მ. [illegible]ᲥᲠᲯᲐᲜᲔᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაცანები: (სტუდენტს)—გამოდი ძია, გამოდი! ბინა დაგვიცალე! მანდ ჩვენი საცხოვრებელი ადგილია!

დ ე პ ე შ ე ბ ი

ახალი გამოგონება

გათოგი. მუშკოოპის თანამშრომლებმა ქავკაიამ, ბელიაევმა, პოპოვმა და იაკოვლევმა მუშაობის გამარტივების და სოციალიზმთან მიახლოების მიზნით გამოიგონეს საქონლის მუშკოოპიდან უტალონოდ მიღების ახალი საშუალება.

ვინაიდან მათ ხელში იყო ფართალი და სხვა საქონელი, ამიტომ ეს საქონელი 200-300 მეტრობით გადაიტანეს თავის ბინაზე.

მყიდველებს საქონლისათვის მუშკოოპის სავაჭროს მაგივრად შეუძლიათ მიაკითხონ ზემოაღნიშნულ პირებს გამსახლში. **ვა—ლი.**

მოხსენებები

იქიდანვე. რადიო-კვანძის ქმოსანმა ივანოვმა დამკვრელთა დღეს, პირველ ოტომბერს, ბათომის მოსახლეობას რადიოთი გაუკეთა დიდი და შინაარსიანი მოხსენება შემდეგ თემაზე:

ღვინის ღლაპვიზაცია და მისი შედეგები.

— გუშინ შესდგა ბათომის რაიონში მცხოვრებ თხების და ცხვრების დახურული კრება, რომელზედაც მოხსენება გაკეთა ამხ. ს. თავბერიძემ შემდეგ თემაზე: „მომარაგების ჩაფლავიზაცია და კონტრაბანდი ხორცის მნიშვნელობა“. **გრიგალი.**

დაჭრა

ქუთაისი. საქ. საბკავშირის ქუთ. მაღაზიის თანამშრომელმა ვასილ ფორჩხიძემ ა/წ. 3 ოქტომბერს ქუთკომბანკში შესატან თანხებს, გაიძვერულ ნიადაგზედ მიაყენა ღრმა ჭრილობა და ჩამოაცალა 100 მანეთი.

იქსი.

შ ე ჯ ი ბ რ ი

წყევლაში

(სოფ. წევა, ზესტაფ ონის რაიონი)

დესპინე:—გაგიკვდა თავი და ოჯახი, რავარც პოლიტგანის და აღმასკომის წყალობით აგერ 5 წელიწადია გაკვდა წევის სამკითხველო.

თეკლე:—მემესპე და მომიკვტი! იარა შენმა გვარმა და ოჯახმა სულ ტყუილებში ისე, რავარც ძირულის მუშკოოპის გამგეობამ მოგვატყუა რადიო-სადგურის დადგმაზე.

დესპინე:— ეგერია ოჯახი, გამოგიცარიელდა ტვინი, რავარც ჩვენი სკოლის ზედა სართული გამოცარიელებულია უდეზინფექციოთ და მოწაფეები შიგ არ შედიან ჩვენი სკოლის გამგის წყალობით.

ალი.

იერიში

ახალ-სენაკი. გუშინწინ გაიმართა ღორების არაჩვეულებრივი კრება. კრებაზე ერთხმად დაადგინეს იერიშის მიტანა აღმასკომის შენობაზე უკანასკნელის დასაპყრობად. გუშინ აღმასკომის ეზოში გაჩნდა ღორების პირველი ესკადრონი. მცირე ბრძოლის შემდეგ ღორების რაზმებმა სავსებით აიღეს აღმასკომის ეზო და მთელ ქალაქში გამოაცხადეს საალყო წესები. აღმასკომის შენობა გარემოცულია ღორების რაზმებისაგან. მილიციის კონტრ - იერიშები უშედეგოდ დასრულდა. მდგომარეობა საშიშია.

(ფერია).

კოლბოული (ჭიათ. რაიონი)

გენადია და ვასილი, — მაჭარაშვილნი გვარადა, კომკავშირიდან გარიცხეს, გაჭკიცხეს მთად და ბარადა. პრესტიჟის აღსადგენათ მათ მიმართეს მუშტებს, კრივებს, ცხვირ-პირს ამტრევენ სულ ყველას, არ ინდვენ ობლებს ქვრივებსა. გლეხ სამხარაძეს დაუხვდენ, დღე გაუთენეს მწარია; სცემეს და კიდეც გაცარცვეს, ცხვირში ადინეს ძმარია.

(სერ—ი).

ბერლინის არჩევნებში კომპარტიამ ყველაზე მეტი ხმა მიიღო. შემდეგ მიდის სოც.-დემოკრატიული პარტია და სხვა

(გაზეთებიდან).



არჩევნების დიაგრამა

ცხელცხელი ამბები

დაიკარგა სიდედრი

ივანე კისინჭილოვს დაეკარგა სიდედრი, რომელიც ამ ორთი კვირის წინად გავიდა სახლიდან პურის წიგნაკების გამოსაცვლელად. ნიშნები: უყვარს რიგებში დგომა, ხელთ აქვს პურის ექვსი წიგნაკი მუშკოოპის, დაზღვევის, ავიო-ქიმის და სხვა წიგნაკები, რიცხვით 37 ცალი.

იპოვება ტყავები

ტფ. სასადილო „გამარჯვების“ მუშაკები (მალაკნის ქუჩაზეა) აცხადებენ, რომ იყიდება მათ მიერ მოსადილეებისაგან გამძვრალი ტყავები. ვაჭრობა ბითუმათ და ცალობითაც.

ვეძებ სამუშაოს

დამთავრებული მაქვს შვიდწლედი, ვარ 32 წლის, ვიცი წერა-კითხვაც. შემიძლია შევასრულო მრომის ბირჟის მუდმივი პენსიონერის თანამდებობა, მაგრამ დახმარების გაცემა უკვე გააუქმეს.

კიდევ ერთი ალმოჩენა

ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ უმწეო ქალთა თავშესაფარის მოლარე—ბუღალტერ ასათიანს ალმოუჩინა 432 მანეთი დანაკლისი. როგორც ამბობენ ეს ალმოჩენა გადატრიალებას მოახდენს მოლარე ასათიანის ჯიბეში.

გაისუგანი

(ლაგოდეხის რაიონი)

ლაგოდეხს ვესტუმრე, ამბავი შევიტყვე.
იქ **ბაბუნაშვილზედ** ბევრი რამ სთქვეს,
რომ მათმა ბრწყინვალე ალმატებულებამ
ფულები შესჭამეს და მიირთვეს.
და სახდაზღვევაში გლეხების ჩივილი
ისმოდა ყოველდღე, ამბობდენ რას.
„საქონელს ვაზღვევდით, ფულები შეგვქონდ
შურა ყალბ ქვითარით გვიბნევდა გზას.
ფული მას შეჰქონდა საკუთარ ჯიბეში“
გლეხობა მეორეთ აზღვევდა ხარს.
ისმოდა მუქარა, ღელავდა სული,
ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.
გაზეთის ფულებიც შეჭამა ყმაწვილმა,
რომელიც მოკრიბა ოსეთში მან.
„არ მოგცა მე სენი წირიმე გაზეთი,
წავიდეს ესმაკმა წაიღოს თან.“
ასეთი ბრალდება ბევრი აქვს მას კიდევ
კომკავშირს უსმინეთ ის იტყვის სხვას,
და ოდიშარია ბრიგადის სახელით
პროკურორს მოითხოვს ვნახოთ რა სთქვას.

მანკი.

გოდორი

დილიკოურელს (ს. დილიკოური, ზესტაფონის რაიონი) მოგვყავს ნაწყვეტი თქვენი წერილიდან:

ძვირფასო და დაუვიწყარო ძმაო იაშა! დღეს შემხვდა ერთი ამხანაგი და ჩვენს უჯრედზე (ე. ი. დილიკოურის კ. კ. უჯრედზე) შემდეგი სთქვა (სიმღერით)

დილიკოურის კომკავშირი
მოისუსტებს ძალიან,
სექტორებს აყალიბებს,
გეგმებს აძლევს გვარიანს
მუშაობა არ სწარმოებს,
ეს ხომ მათი ბრალია?

ამ სიტყვებმა ძლიერ გამაბრაზა, მაგრამ **ვახსენე ღმერთი, მივაფურთხე ეშმაკს**... სხვათაშორის დილიკოური ზესტაფონის მახლობლად მდებარეობს. ზესტაფონელები კი განთქმულნი არიან სიმღერით და ასე უშნო ლექსს არ იმღერებენ. უჯრედის სუსტი მუშაობის მხილება კარგი საქმეა, მაგრამ მამაოჩვენოს ძახილი და ხატების წინ მეტანია მის მუშაობას ვერ გამოაცოცხლებს, (თქვენ კი ვაშკაცურად იძახით: ვახსენე ღმერთი, მივაფურთხე ეშმაკსო.) ღვთის ხსენება რომ საქმეს შველიდეს, მაშინ მაკდონალდის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!

ჩარტაროზის პრემია — არ სჭირდება „პრემია?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვანილი როგორის მიღებაც მოჭალაძეებს შეუძლიათ რიგის გარეშე.

მთავ. № 1310 რედაქტ.: სარედაქციო კოლეგია, გაზ. „მუშა"-ს გამოცემა